პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 185 (10882) | ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## საქართველოს მეჩაიეებმა ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულონ

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა წელს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი შარშანდელთან შედარებით უფრო ადრე დაიწყეს. პირველ ხანებში მთელმა რიგმა რაიონებმა წარმატებით გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი, შრომითი რესურსები, და კარგ ...

... ხოლო ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 75,9 პროცენტით. მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდის და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა ივლისში ათასობით ტონა ნედლეული დააკლეს სამშობლოს.

...

... დღიურად. არის ნედლეულის დანაკარგები. ესეც ერთ-ერთი მთავარი მიზეზია რესპუბლიკის მეჩაიეების დიდი ჩამორჩენისა. 1 აგვისტოსათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო 62,1 პროცენტით,

... პირობა — წელს ჩვენს ქვეყანას მისცენ 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო „იაპონია—სსრ კავშირის" საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი კაძამი აკირა

5 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი კაძამი აკირა მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი. (საქდესი).

## ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლის იაპონიის საბჭოს დელეგაცია

...

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★

### ტყიბულელ მეშახტეთა გამარჯვება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა ოთხი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის დავალება, პირნათლად და დიდი გადაჭარბებით გაანაღდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. 28 ივლისისთვის მეშახტეებს გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებული ჰქონდათ 40 ეშელონზე მეტი ქვანახშირი.

...

... ვისეს საპროექტო სიმძლავრე, ავტომატიზაციაზე და დისტანციურ მართვაზე გადაიყვანეს მთელი რიგი სამთო მექანიზმები და დანადგარები, მოპოვებითი სამუშაოების შესრულებას შეუდგნენ ახალ ჰორიზონტზე. სტალინის სახელობის შახტის მიწისქვეშა გამონამუშევრებზე გამართეს 6 კონვეიერი, მოამზადეს და გახსნეს რამდენიმე მძლავრი ლავი.

ტყიბულის მეშახტეებმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9,2 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის ამოღება.

### ძლიერდება მარგანეცის მოპოვების ტემპი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა ივლისში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადების ივლისის დავალებები საგრძნობი გა-...

...

... წარჩინებული მაღაროელები ... ყოლაძე, დ. მაჭავარიანი, ა. კიპარონიძე, ი. კომლაძე, გ. კალმახელიძე, ძმები ივანე და სერგო გიორგაძეები, გ. დვალი, ტ. გაფრინდაშვილი, შ. გურაბანიძე, შ. ბრეგვაძე, შ. აბესაძე ყოველდღიურ დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებენ.



თბილისის ხაინსტრუმენტო ქარხნის მოწინავე ხარატი კ. ჭელიძე, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგას, ყოველდღიურ გეგმებს 250-260 პროცენტით ანაღდებს. ფოტო შ. გოქაძისა.

### ტყავის ქარხნის კოლექტივის წარმატება

თბილისის ლენინის სახელობის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა, მტკიცედ დაეუფლა რიტმულობას. ნახევარი წლის გეგმა აქ 4 პროცენტის გადამეტებით შეასრულეს და ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოებს მრავალი ათასი დეციმეტრი საძირე ტყავი მისცეს გეგმის გადამეტებით.

კიდევ უფრო წარმატებით იმუშავეს ტყავის გამომყვანებმა ივლისში და თვიური გეგმა 104,5 პროცენტით შეასრულეს.

კოლექტივს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ხალისი გაუძლიერა ამ ორი დღის წინათ მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივს მიეკუთვნა მესამე საკავშირო პრემია — 16.800 მანეთი.

ამ ცნობამ ტყავის გამომყვანი მუშები ახალი მიღწევებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანა. მათი გადაწყვეტილებაა მესამე კვარტალში კიდევ უფრო გააუმჯობესონ მუშაობა, მორიგი გამარჯვება მოიპოვონ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

### მ ო წ ი ნ ა ვ ე  მ შ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

საბურთალოზე ავტობუსი პავლოვის ქუჩაზე რომ გაუხვევს, თვალწინ ახალმშენებლობათა ფართო პანორამა გადაგეშლებათ. ყოველი მხრიდან ისმის ბეტონ-...

... ლებისათვის, და მალე მშენებლებმა მთელი მასშტაბით გაშალეს მუშაობა. ახლა უკვე სავსებით ნათლად ჩანს ახალი საცხოვრებელი უბნის კონტური.

...

... წილეობდა პირველი მსხვილბლოკებიანი სახლის აგებაში ლენინის ქუჩაზე და ახლა ფართოდ იყენებს იქ შეძენილ გამოცდილებას. მას არ ჩამორჩებიან კალატოზები ...

...

... მძლავრმა ექსკავატორებმა მოკლე ხანში შეასრულეს მიწის სამუშაოები, გაამზადეს ქვაბულები ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვ-...

მსხვილი ბლოკებით მშენებლობაში განსაკუთრებით ისახელა თავი კალატოზმა ვ. ჩიბურდანიძემ, რომელიც ბლოკების წყობაზე მუშაობს. გასულ წელს იგი მონა-...

... გააძლიერეს მუშაობის ტემპი. მათ გადაწყვიტეს საშვიდნოემბროდ დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ ის კორპუსები, რომლებიც შენდება მსხვილი ბლოკებით.

## მონაწილეობა მივიღოთ ყარაგანდის ახალ მშენებლობებში

პარტიის XX ისტორიულმა ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო ამოცანად დასახა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში მრეწველობის სწრაფი განვითარება. ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის ...

... ყაზახეთის მეტალურგიული კომბინატი, პავლოდარისა და ომსკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები და სხვ.

ახალმშენებლობათა გასაჩაღებლად ყარაგანდას დამატებითი მუშახელი ესაჭიროება. სწორედ ამიტომ საქართ-...

... ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას პარტიის მოწოდების პასუხად წავიდნენ სამუშაოდ ყარაგანდის შახტების მშენებლობაზე. ახალგაზრდებმა იციან, რომ იქ ბევრი სიძნელის გადატანა მოუხდებათ, მაგრამ დარწმუნებული არიან იმაში, რომ არ არსებობს ისეთი ...

...

ლ. ზაქაიძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური ...

## საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკებები

5 აგვისტოს კრემლში გრძელდებოდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და სირიის რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. კუზმინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. ნიკიტინი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ა. ა. პოსკონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. ...

... ფარა.

მოლაპარაკება მეგობრული ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

## დარბაზობა კრემლში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის აღსანიშნავად

5 აგვისტოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლში მოაწყო დარბაზობა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის აღსანიშნავად.

სტუმრებს შორის იყვნენ ფესტივა-...

...

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა თანამშრომლები. (საქდესი).

## ინდოელმა სტუმრებმა ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

წითელ მოედანზე ბევრი მტრედია. ისინი დასეირნობენ ქვაფენილზე, დაფრინავენ ჰაერში მცირე სიმაღლეზე, თითქოს მიესალმებიან მშვიდობისა და მეგობრობის წარმომადგენლებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. ...

...

... დოეთის ხალხი, ძალიან ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდეთ ლენინს.

ინდოელი სტუმრების შემდეგ მავზოლეუმს ნახულობენ ყაზახები, ყირგიზები, იტალიელები, აფრიკელები, ინგლისელები, რუსები...

(საქდესი).

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 6 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# საბინაო მშენებლობა და პარტიული ორგანიზაცია

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელების შემკეთებელი საამქროს ხელმძღვანელები, როცა საქმე საცხოვრებელი ბინების განაწილებაზე მიდგებოდა, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ამ საამქროს კოლექტივს, როგორც სხვებთან შედარებით მცირერიცხოვანს, ყოველ განაწილებაზე მხოლოდ ერთ ან უკიდურეს შემთხვევაში ორ ბინას გამოუყოფდნენ ხოლმე. რა მოფიქრებულადაც უნდა გაენაწილებინათ, ბინის ათობით მსურველი მაინც დაუკმაყოფილებელი რჩებოდა და იწყებოდა ღუმელების შემკეთებელთა საყვედურები ქარხნის ადმინისტრაციისადმი. მაგრამ რა უნდა ექნათ საწარმოს ხელმძღვანელებს, როცა ასეთსავე პრეტენზიებს დანარჩენი საამქროებიც აყენებდნენ. მშენებლობის ტემპი კი შეუწყნარებლად ჩამორჩებოდა საცხოვრებელ ბინებზე მეტალურგთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

საჭირო იყო რაღაც სხვა საშუალების გამოძებნა. და აი ერთ დღეს მარტენის ღუმელების შემკეთებელი საამქროს დურგალმა კომუნისტმა ა. სუთიძემ პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ჩაჩანიძეს განუცხადა:

— ამხანაგო ალექსანდრე, გორკელ მეავტომობილეებს შესანიშნავი თაოსნობა გამოუჩენიათ, საკუთარი ძალებით აშენებენ ბინებს. მოდი ჩვენც მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი. მით უმეტეს, რომ ბინათმშენებელთა კადრების მომზადება არ დაგვჭირდება. ჩვენს კალატოზებს ცეცხლგამძლე ამონაგის რთული კონსტრუქციები თუ ამოჰყავთ, განა კედლის წყობა გაუძნელდებათ? საამქროში აგრეთვე ბევრი მღებავი, დურგალი, ელექტრიკოსი და ზეინკალი გვყავს. რაღაა საჭირო? პროექტი, სამშენი მასალა და, რაც მთავარია, მონდომება...

კომუნისტ ა. სუთიძის წინადადება ა. ჩაჩანიძემ პარტბიუროს წევრებს გააცნო. მეორე დღესვე მოიწვიეს პარტიული აქტივი, წარმოების მოწინავე ადამიანები და სთხოვეს გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

— საკუთარი ძალებით ბინების მშენებლობა დიდად სასარგებლო საქმეა— ასეთი იყო თათბირის მონაწილეთა საერთო დასკვნა. ახალ წამოწყებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საამქროს ადმინისტრაცია, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ღუმელების შემკეთებელთა თაოსნობას მხარი დაუჭირა მეტალურგიული ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა. მიმდინარე წლის მარტში პარტიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკითხი ქარხნის ძალებით ბინათმშენებლობის ორგანიზაციის შესახებ. გამოიყო ბინათმშენებლებისადმი დამხმარე საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ საამქროთა ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკები. კომისიის ხელმძღვანელობა დაეკისრა მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილეს, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს, გამოცდილ ბინათმშენებელს ა. ზამთარაძეს. კომისიასთან შეიქმნა მომარაგების, შრომისა და ხელფასის, აგრეთვე საწარმოო სექტორები.

მარტენის ღუმელების შემკეთებელი საამქრო პირველი შეუდგა მშენებლობას. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მექანიზატორთა დახმარებით დროზე შეასრულეს მიწის მოსამზადებელი სამუშაოები. თვითეული ცვლიდან გამოჰყავს ორ-ორი კალატოზი, აგრეთვე სხვა პროფესიის მუშები და შეიქმნა კომპლექსური ბრიგადა, რომელშიც 20-მდე კაცი გაერთიანდა. ბრიგადის ხელმძღვანელად გამოიყო საამქროს კალატოზთა ბრიგადის ბრიგადირი ა. მახარაშვილი. მშენებლობისადმი საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს ი. ცისკარიშვილს.

მშენებლობაზე მაღალნაყოფიერად შრომობდნენ არა მარტო ისინი, ვისაც თავის აგებულ შენობაში ბინა უნდა მიეღო, არამედ ისინიც, ვინც სამშენებლო ობიექტზე ამხანაგებისადმი დახმარების გაწევის უანგარო გრძნობამ მოიყვანა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან კალატოზები ვ. დარჩიაშვილი, გ. ხაჩიძე, მ. პაპოიანცი, დურგალი ა. მეტივიშვილი, დამხმარე მუშები ი. გოგობერიშვილი, ნ. მჭედლიძე, ნ. ნაზიევი და სხვები.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა რამდენჯერმე მოიწვია თათბირი, რომლებზეც განიხილეს სამშენებლო მასალებით მომარაგების, ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მშენებლობის სხვა მტკივნეული საკითხები. ასევე იქცევა მარტენის ღუმელების შემკეთებელი საამქროს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველდღიურად მშენებლობის კურსშია და ადგილზე კონკრეტულ დახმარებას უწევს ბინათმშენებლებს.

სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია, რომ ღუმელების შემკეთებლებმა მეტალურგთა ქალაქის კოლმეურნისა და საბჭოს ქუჩების კუთხეში რამდენიმე თვეში წამოჭიმეს კერამიკული ბლოკებისაგან ნაგები ორსართულიანი 12-თაზიანი შენობა. ამჟამად შენობა გადახურულია და მიმდინარეობს შიგნითა სამუშაოები.

ღუმელების შემკეთებლებს კარ-ფანჯრების დამზადებაში დაეხმარა მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო-სარემონტო საამქროს კოლექტივი. შემდგომ ამ საამქროდან უფრო მეტი რაოდენობით გამოყვეს მუშახელი და იგი ღუმელების შემკეთებელთა კომპლექსურ ბრიგადასთან გააერთიანეს. ამას წინათ ახლად აგებული შენობის გვერდით ორივე საამქროს წარმომადგენლები ერთად შეუდგნენ სამსართულიანი 24-ბინიანი შენობის მშენებლობას. უკვე ამოყვანილია სარდაფები. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ამ შენობის აგება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის დაამთავრონ.

მიუხედავად ამისა, საკუთარი ძალებით ბინათმშენებლობის ტემპი მეტალურგიულ ქარხანაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. აღნიშნულ საამქროებს გარდა საწარმოს დანარჩენ საამქროებში ამ სასარგებლო საქმეს თავს არიდებენ და გაურბიან. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ საკუთარი ძალებით ბინათმშენებლობის მსურველებს ქარხნის ხელმძღვანელები სამშენი მასალებით ყოველთვის შეუფერხებლად როდი ამარაგებენ.

ერთი თვის წინათ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ქალაქში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიმდინარეობის საკითხი და გამოავლინა ამ დარგში არსებული ნაკლოვანებები. კერძოდ, ბიუროზე აღინიშნა სერიოზული დარღვევები ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მსურველებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის, მათდამი ტექნიკური დახმარების, ფონდირებული სამშენი მასალების გამოყოფის დარგში. ამ შეუწყნარებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი. მაგრამ, როგორც მეტალურგიული ქარხნის მაგალითზე ჩანს, ბინათმშენებლები კვლავ მოკლებული არიან სათანადო ხელშეწყობასა და დახმარებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რუსთავის მეტალურგები უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ. ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე აგიტატორები მშრომელებს ფართოდ აცნობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ". რუსთავის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად მოწოდებული არიან დაუღალავად იმუშაონ, საბინაო მშენებლობის, კერძოდ საკუთარი ძალებით ბინათმშენებლობის ფართოდ გაშლებისათვის.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ახალი პურსაცხობი ქარხანა

ქობულეთი. (საკ. კორ.). დღითიდღე ფართოვდება და იზრდება ქალაქი-კურორტი ქობულეთი. ინტენსიურად მატულობს მისი მოსახლეობაც. აქ ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ჩამოდის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან დასასვენებლად და სამკურნალოდ.

იმის გამო, რომ ქობულეთში პურსაცხობი ქარხანა არ იყო, ზოგჯერ ფერხდებოდა მოსახლეობისა და დამსვენებელთა მომარაგება ხარისხოვნად გამომცხვარი პურით.

ამ დღეებში ქობულეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა კარგად აღჭურვილი პურსაცხობი ქარხანა, სადაც ყველა პროცესი მექანიზებულია. გარდა პურისა, ქარხანა გამოუშვებს საკონდიტრო ნაწარმსა და ფუნთუშეულს.

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით ჩაბარა გამოცდა. გამოშვებული პროდუქცია კარგი ხარისხისაა და მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს. ახლა ქარხანა შეუფერხებლად ამარაგებს ქალაქის მოსახლეობას და დამსვენებლებს მაღალხარისხოვანი პურითა და საკონდიტრო ნაწარმით.





სურათებზე: ზევით — ქობულეთის ახალი პურსაცხობი ქარხნის საერთო ხედი. ქვემოთ — ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.
ფოტო ს. ირიციანისა.

## ავტომობილმშენებელთა დისერტაციები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა მ. რიჟიკმა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ამ დღეებში დაიცვა დისერტაცია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. დისერტაციის თემა იყო: „ავტოსატრაქტორო ძრავების ბიძგარის და მუშტას მოხახუნე ზედაპირების მუშაობის გამოკვლევა". მ. რიჟიკს სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებზე მუშაობენ აგრეთვე ქარხნის კონსტრუქტორი თ. ლაზარიშვილი და ინჟინერი ა. ჯაყელი.

# გავუთანასწორდეთ მოწინავეებს თივის აღებასა და დასილოსებაში

მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დმანისის რაიონში წველადობა მკვეთრად გაიზარდა. თუ გასული წლის 1 ივლისისათვის მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 615 კილოგრამი რძე მიიღეს, მიმდინარე წლის ამავე პერიოდში მიღებულია 895 კილოგრამი. შარშან 27 კოლმეურნეობაში წველადობამ 'იკლო. წელს კი ყველა კოლმეურნეობაში მატებაა.

ამ წარმატებას რაიონში იმით მიაღწიეს, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ებმა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა გააძლიერეს ყურადღება მეცხოველეობის ფერმებისადმი. გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობებმა დიდი რაოდენობით დააგროვეს წვნიანი და უხეში საკვები, პირუტყვი საუკეთესოდ გამოაზამთრეს.

სოფელ კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე უ. აზბულაევი) ივლისის მეორე ნახევარში გათიბული ჰქონდა 500 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი, რომლის დიდი ნაწილი დაზვინულია ფერმებთან და აქტით აქვთ ჩაბარებული სათანადო პირებს.

— წელს თივის მოსავალი შარშანდელთან შედარებით ნაკლებია, — განაცხადა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ა. აბულაძემ, — ამიტომ ყველა ღონისძიებას ვხმარობთ იმისათვის, რომ დანაკარგები არ დავუშვათ. მართლაც, თიბვა, შეგროვება, დაბულულება, მიზიდვა, დაზვინვა და სხვა სამუშაოები ისეა მოწყობილი, რომ დანაკარგები მინიმუმამდეა დაყვანილი. თივის აღებაზე ყოველდღიურად ათობით ცხენი, მანქანა და 300-მდე კოლმეურნე მუშაობს. გადაწყვეტილი აქვთ საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე დააგროვონ 10 ტონა თივა, 7 ტონაზე მეტი სილოსი. საფურაჟე ძროხაზე უკვე ჩადებულია 6 ტონამდე სილოსი. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში სასილოსედ ითესება ჭვავი. ჭვავი კარგად ხარობს და დიდი რაოდენობით იძლევა სასილოსე მასას. ამ მასისაგან უკვე ჩადებულია 300 ტონა სილოსი.

სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წელს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 1.900 კილოგრამი რძე, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოოს 170 ცენტნერი რძე და 26 ცენტნერი ხორცი.

— ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში დიდი როლი ენიჭება საკვებ ბაზას, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. ოქრიაშვილმა. — ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შევუქმნათ საზოგადოებრივ მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა. კოლმეურნეობამ უკვე გათიბა 212 ჰექტარი ბალახი.

თივისა და სილოსის დაგროვების საქმეში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია სოფელ იაკუბლოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ფაშაევი). კოლმეურნეობამ 19 ივლისისათვის შეასრულა თიბვისა და სილოსის ჩადების გეგმა, გათიბა 300 ჰექტარი ბალახი და ჩადო 600 ტონა სილოსი. კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ გეგმის გადამეტებით დააგროვონ თივა და ჩადონ სილოსი. ეს კოლმეურნეობა რაიონში მიწისზედა დასილოსების ინიციატორად გამოვიდა. ამ წესით აქ უკვე 120 ტონა ბალახი დასილოსდა. ამ ინიციატივას რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ დაუჭირა მხარი და მიწისზედა დასილოსებას შეუდგა. სოფლების ამამლოს, ვარდისუბნის, ბეზაკლოს, ჰუსეინ-ქენდის კოლმეურნეობებმა უკვე დიდი რაოდენობით დააგროვეს საკვები და წარმატებით განაგრძობენ ამ სამუშაოს.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკვების დამზადებას. სოფელ მაშავერის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე, მართალია, შარშანდელთან შედარებით 99 კილოგრამით გაიზარდა, მაგრამ მატება იმდენად მცირეა, რომ რაიონში კოლმეურნეობა უკანასკნელ ადგილზეა — 6 თვეში ერთ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 671 კილოგრამი რძე მიიღო. მისმა მეზობელმა ვარდისუბნის კოლმეურნეობამ კი, რომელსაც ისეთივე პირობები აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის, როგორიც მაშავერის კოლმეურნეობას, შესაბამის პერიოდში 1.024 კილოგრამი რძე მიიღო.

რით აიხსნება ასეთი დიდი განსხვავება? საქმე ის არის, რომ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ტატუაშვილი) პირუტყვს მზრუნველობას არ აკლებენ, ახორციელებენ პროდუქტიულობის ზრდის ყველა ღონისძიებას. კოლმეურნეობას გათიბული აქვს 100 ჰექტარზე მეტი ბუნებრივი ბალახი, ხოლო ჩადებულია 140 ტონაზე მეტი სილოსი. მაშავერის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში კი თიბვა და სილოსის ჩადება გააჭიანურეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. მარქაროვი გვიმტკიცებდა, თითქოს ბალახი გათიბული ჰქონდა და საზაფხულო საძოვარზე 60 კაცი მუშაობდა თიბვაზე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბალახის თიბვა ივლისის მეორე ნახევარშიც არ ჰქონდათ დაწყებული.

სახარბიელო მდგომარეობა არც დმანისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე კ. სიტნიკოვი). აქ გეგმით გათვალისწინებული 252 ჰექტარიდან გათიბული ჰქონდათ 74,7 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი. ჩამორჩება აგრეთვე დაზვინვის სამუშაოები. თუ რა უყურადღებობას იჩენენ ამ საქმისადმი, ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტები:

სოფლის მახლობლად გათიბული ნაკვეთის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მინდორში მრავალ ადგილას გაუთიბავად დატოვებული იყო დიდი ფართობი. გათიბული ბალახი დიდხანს დაუბულულებელი ეყარა წვიმასა და სიცხეში. საჭირო კი იყო ბალახი გათიბვის მესამე-მეოთხე დღეს დაებულულებინათ. მაგრამ თავი არავინ შეიწუხა. საკვების დაგროვებაში ასეთი ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში მეტად დაბალია შრომის დისციპლინა.

რაიონში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება სოფელ ვაკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე პ. კონსტანტინოვი). მაგრამ აქ საკვების დამზადებაში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ. ბუნებრივი ბალახების გათიბვისა და სილოსის ჩადების დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული.

გომარეთის მტს-ის ზონის ზოგიერთი კოლმეურნეობა ყალბ ცნობებს აწვდის რაიონის ხელმძღვანელებს თივის ადგილზე მიზიდვისა და დაზვინვის შესახებ. მაგალითად, ზემო ყარაბულახის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ალიევი) წარადგინა ცნობა, თითქოს 16 ივლისისათვის კოლმეურნეობაში მიზიდული და დაზვინული იყო 300 ჰექტარზე აღებული თივა. ფაქტიურად კი თივის მიზიდვა და დაზვინვა 19 ივლისს დაიწყეს. გარდა ამისა, კოლმეურნეობაში არ ზრუნავენ გათიბული ბალახის შეგროვებისათვის. შემოწმების დროს დიდ ფართობზე ვნახეთ გათიბული ბალახი, რომელიც გაფუჭებული იყო.

როგორც დმანისის, ისე გომარეთის მტს-ებს საკმაო რაოდენობით აქვთ თივის ასაღები ტექნიკა. მაგრამ მას არ იყენებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ დმანისის მტს-ის ერთი სათიბი აგრეგატი ირგანჩაის კოლმეურნეობა „ალ-ბაირაღში" მუშაობს.

საჭიროა რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ებმა კონკრეტულად უხელმძღვანელონ და ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს თივის აღებისა და სილოსის დამზადების საქმეში.

**რ. დავითური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# განვამტკიცოთ მუშსოფკორებთან კავშირი, ავამაღლოთ მათი მუშაობის დონე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მასების დასარაზმავად ბორჯომის რაიონულ გაზეთს „კომუნიზმის დროშით" და რაიონის ძირეულ პრესას დიდ დახმარებას უწევენ მუშა და სოფლის კორესპონდენტები.

რაიონულ გაზეთში სისტემატურად მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოთა და რკინიგზის მუშები, კოლმეურნეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ექიმები, აგრონომები, პედაგოგები. გასულ წელს რედაქციამ მიიღო მუშსოფკორთა 2.000-მდე წერილი, ხოლო მიმდინარე წელს — უკვე 1.000-ზე მეტი.

რაიონულ გაზეთში საქმიან, შინაარსიან წერილებს ხშირად ათავსებენ რაიონის მთავარი ვეტექიმი, მუშსოფლკორთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატი შ. ბზიშიძე, თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგე დ. თხელიძე, მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ა. კვაზხირიძე, მტს-ის დირექტორი პ. ჭიპაშვილი, სოფელ რველის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. სულაქველიძე, სოფელ საკირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. სამსონიძე, სოფელ ტაძრისის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, ვეტფერშალი ზ. ბერიძე, სოფელ დიდი მიტარბის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ა. თუაური, ექიმები მ. მინაშვილი, ლ. დვალიშვილი, ლ. სტურუა, თ. ბერიშვილი, მ. ხუციშვილი, რკინიგზის ბორჯომის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. მაღლაფერიძე, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის ცვლის უფროსი გ. სტეფანიანი, მქერავთა არტელ „სოციალიზმის" პარტბიუროს მდივანი შ. გოგოლაძე და სხვ.

მუშსოფლკორთა მუშაობის გაუმჯობესებას, გაზეთებში მათ აქტიურ მონაწილეობას დიდად შეუწყო ხელი მუშსოფლკორთა რესპუბლიკურმა ყრილობამ, მისი შედეგების განხილვამ რაიონის მუშსოფლკორთა შეკრებაზე, ყრილობაზე მიღებული გამოცდილების განზოგადებამ და გავრცელებამ.

მაგრამ მუშსოფლკორებთან მუშაობის მხრივ რაიონული გაზეთის რედაქციაში ყველაფერი რიგზე არ არის. იშვიათად ეწყობა მუშსოფლკორთა სემინარები და საინსტრუქტაჟო თათბირები. გაზეთში ნაკლებად მონაწილეობენ სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

რედაქციის კოლექტივის კავშირის განმტკიცება ავტორთა აქტივთან და მკითხველებთან სადღეისო და გადაუდებელი ამოცანაა. მაგრამ ამ საქმეში მარტო რედაქციის მუშაობა საკმარისი არ არის, თუ რაიონის პარტიული და სამეურნეო მუშაკები, აგრეთვე მუშა და კოლმეურნე კორესპონდენტები არ გამოიჩენენ სათანადო ინიციატივას.

რაიონში ძირეული პრესის კარგად მუშაობის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის კედლის გაზეთ „მეავეჯის" ყოველი მორიგი ნომრის გამოშვებაში ოცი და მეტი ამხანაგი მონაწილეობს. გაზეთის თვითეულ ნომერში მოთავსებული პატარა, შინაარსიანი წერილები ცოცხლად, გასაგები ენით აშუქებენ საწარმოს ცხოვრების სხვადასხვა, მუშებისათვის საინტერესო საკითხებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები (დირექტორი ს. კიკნაძე, პარტბიუროს მდივანი გ. გიორგაია) ნაკლებად ემაურებიან და ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებს. თავიანთ ამოცანებს კარგად ასრულებენ მქერავთა არტელ „სოციალიზმის" და კურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების პურკომბინატის კედლის გაზეთებიც.

რაიონში ისეთი კედლის გაზეთებიც არის, რომლებიც სისტემატურად არ გამოდის, რომელთა სარედაქციო კოლეგიები აქტივთან მუშაობას ყურადღებას არ აქცევენ, ათავსებენ ზერელე, ზოგად, არაფრისმთქმელ წერილებს. ასეთია მაგალითად, სოფელ ზანავის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა", რომელიც არ აშუქებს საკოლმეურნეო წარმოების აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებს. ამ კედლის გაზეთს სამუშაო გეგმა არა აქვს, არ იწვევენ სარედაქციო კოლეგიის სხდომებს, არ განიხილავენ შემოსულ წერილებს. მასალებს ორისამი კაცი ამზადებს. ამიტომ კედლის გაზეთი უფერულია, კოლმეურნეობის საქმიანობას ვერ ასახავს. მასში გამოქვეყნებული წერილები კრიტიკული არ არის.

ცუდად მუშაობს აგრეთვე სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა". კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეხმარება მას. გაზეთს შეუმჩნეველი რჩება შრომისადმი უგულო დამოკიდებულების მრავალი ფაქტი. სოფელ ჭობისხევის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა", მართალია, სისტემატურად გამოდის და ათავსებს კრიტიკულ წერილებს, კარიკატურებს იმათზე, ვინც თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას ან ცუდად მუშაობს, მაგრამ გაზეთის საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, იგი თავის გარშემო რომ იკრებდეს სოფლკორებს, ფართო აქტივს.

ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები წარმატებით იბრძვიან მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, მოსავლის თავის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის, საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მოვალეობაა დარაზმონ მასები, ხელი შეუწყონ დასახული დიდი ამოცანის განხორციელებას.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები უფრო გააძლიერებენ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მუშსოფლკორებისა და კედლის გაზეთების რედაქციებისადმი, რომ ადგილებზე გაზეთები უფრო შინაარსიანი, მრავალფეროვანი და საინტერესო გამოდიოდეს.

**ვ. გობრონიძე,**
საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის მდივანი.

# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

### მოსავალი აღებულია 254.717 ჰექტარზე

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება დასასრულს უახლოვდება. 1 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში აღებული იყო 254.717 ჰექტარი, ანუ გეგმის 75,4 პროცენტი. პურეულის მკა გაჩაღებულია მთიანი ზონის რაიონებში. ახალციხის რაიონში მოსავლის აღების დავალება შესრულებულია 63,2 პროცენტით, ასპინძის — 39,3, დუშეთის — 57,2, თეთრი წყაროს — 73,2, დმანისის რაიონში — 27, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 54,6 პროცენტით. მოსავლის აღება დაიწყო მაღალმთიან ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონებში. პურეულის მკა მალე დამთავრდება ქართლის რაიონებში.

### პირუტყვის საკვების დამზადება

1 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში ბუნებრივი ბალახები გათიბული იყო 104.038 ჰექტარზე, რაც გეგმის 49,2 პროცენტს შეადგენს. ნათესი ბალახების აღების დავალება შესრულებულია 47,8 პროცენტით. ახალქალაქის რაიონში ბუნებრივი ბალახების თიბვის გეგმა შესრულებულია 80,8 პროცენტით, ბოგდანოვკის — 38,9, ახალციხის — 66,9, ასპინძის — 84,4, წალკის — 36,6, დუშეთის — 62,2, თეთრი წყაროს — 57,9, თიანეთის — 29,8, სიღნაღის — 41,2, წითელწყაროს — 83,5, საგარეჯოს — 73,8, დმანისის რაიონში — 81,2, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 42 პროცენტით.

რესპუბლიკაში სულ დამზადებულია 208.328 ტონა სილოსი. უნდა დამზადდეს სულ ცოტა 1.500.000 ტონა.

### თამბაქოს შეტეხა

რესპუბლიკაში თამბაქოს შეტეხის დავალება 1 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 21,7 პროცენტით. შეტეხილია 33.875.815 ზონარმეტრი თამბაქო. ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს შეტეხის დავალება შესრულებულია 29,4 პროცენტით, მარნეულის — 22,4, ბოლნისის რაიონში — 15,6, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 20,1, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — 18,3 პროცენტით.

# კულტურის ახალი კერები

სამტრედია. („კომუნისტის" კორ.). დღითიდღე ლამაზდება, მშვენიერდება ქალაქი სამტრედია. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მან მნიშვნელოვნად იცვალა სახე. წინათ ჭაობიანი ქუჩები ახლა მოასფალტებულია და ლამპიონებით არის გაკაშკაშებული.

რაიონის მშრომელთა დასვენებისა და გართობის კერას წარმოადგენს ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც ამას წინათ საზეიმოდ გაიხსნა ახლად რეკონსტრუირებული საზაფხულო თეატრი 750 მაყურებლისათვის. მის მშენებლობაზე 400 ათასი მანეთი დაიხარჯა. საზაფხულო თეატრის სამუშაო ოთახები და სათავსები ისეა რეკონსტრუირებული, რომ აქ საგასტროლოდ ჩამოსულ დიდ თეატრებსაც შეუძლიათ მაყურებელს სრულყოფილად უჩვენონ სპექტაკლები.

კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც ორ ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს, მწვანე სამოსელშია გახვეული. წარმტაც სანახაობას წარმოადგენს წიწვოვან და დეკორაციულ მცენარეთა ხეივნები, ლამით ელიჩის ნათურებით გაკაშკაშებული შადრევანი.

მალე კულტურის კერების მწყობრში ჩადგება რაიონის მშრომელთა ახალი სიამაყე — კულტურის სახლი, რომლის მშენებლობა ამჟამად ძირითადად დამთავრებულია. კულტურის სახლის ახალი შენობა, რომლის პროექტის ავტორია თვით კულტურის სახლის დირექტორი თ. სტურუა, წარმოადგენს მონუმენტურ, ქართული კლასიკური სტილით დამშვენებულ ნაგებობას.

კულტურის სახლის ფოიეები მოხერხებულად უკავშირდება მაყურებელთა დარბაზს. დარბაზი გათვალისწინებულია 800 კაცისათვის. სცენა აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შექმნილი მექანიზმებით. სანიმუშოდ ეწყობა საწრეო ოთახები. კულტსახლში მშრომელებს არა მარტო კულტურულად დასვენება შეეძლებათ, არამედ საშუალება ექნებათ დაეუფლონ ხელოვნებას, მეცნიერებას, ტექნიკას.

კულტურის სახლის მშენებლობაზე და კეთილმოწყობაზე სამ მილიონ მანეთამდე დაიხარჯება.

* * *

სურათზე: სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკის ახალი საზაფხულო თეატრის ხედი.

ფოტო ხ. ჯალაღონიასი.



ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად

## მორიგი წარმატებებისათვის

გალი. (საქ. კორ.). რაიონში ფართო მუშაობაა გაჩაღებული, რათა საქმით უპასუხონ თელაველთა ინიციატივას. სოფელ ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტმა" გამოჰყო 100 ათასი მანეთი სკოლის შენობის რემონტისათვის. რემონტი წარმატებით მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დამთავრდება. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა სკოლას გადასცეს ორი ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გამოუმუშაონ ბავშვებს არა მარტო ჩაის მოყვანის პრაქტიკული ჩვევები, არამედ გააძლიერონ სკოლის მატერიალური ბაზაც, რადგან აღნიშნულ პლანტაციას სათანადო მოვლის შედეგად შეუძლია ყოველწლიურად სულ მცირე 60 ათასი მანეთი შემოსავლის მოცემა.

ოქუმის საშუალო სკოლის შენობა რაიონში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ნაგებობაა. მაგრამ ოთახების სიმცირის გამო მეცადინეობა ორ ცვლად მიმდინარეობს. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში უზრუნველყონ ერთ ცვლად მეცადინეობა. ამისათვის კოლმეურნეობის სახსრებით და კოლმეურნეთა მონაწილეობით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, რათა სკოლის შენობას კიდევ 12 საკლასო ოთახი მიაშენონ. ეს სამუშაოები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დამთავრდება. კოლმეურნეობამ ხელშეკრულება გააფორმა ოქუმის ჩაის ფაბრიკასთან, რომელიც სკოლაში აწყობს მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტებს. კოლმეურნეებმა თავიანთ საერთო კრებაზე გადაწყვიტეს სოფლის სკოლას გამოუყონ 50 ათასი მანეთი სხვადასხვა ინვენტარისა და თვალსაჩინო ხელსაწყოთა შესაძენად.

სოფელ წარჩეს კოლმეურნეობა „წითელი დროშის" წევრთა კრებამ გადაწყვიტა სკოლისათვის საჭირო ინვენტარის, თვალსაჩინო ხელსაწყოთა შესაძენად გამოყოს 40 ათასი მანეთი. მიმდინარეობს შეშის დამზადება.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „მეტი ყურადღება მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას"

ამ წერილთან დაკავშირებით ქალაქის საბჭოს აღმასკომმა დაავალა ორჯონიკიძის რაისაბჭოს კომუნალურ განყოფილებას ვაკის დასახლების ქუჩებს გაუკეთოს მიმდინარე რემონტი. ქალაქის საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს დაევალა დაამთავროს ტროტუარების მოწყობის დარჩენილი სამუშაოები კომკავშირის ქუჩაზე და წესრიგზე მოიყვანოს ამ ქუჩის სამეურნეო ქუჩასთან შეერთების ადგილი.

დღეებში დაიწყო ორჯონიკიძის ქუჩის ნაწილის კეთილმოწყობა.

## სკოლა უვარგის შენობაშია

სოფელ ღების საშუალო სკოლის შენობის წინ რომ გაიაროთ, იტყვით, როგორ მეცადინეობენ მოსწავლეები ამ პატარა უვარგის შენობაში. სკოლას სულ ათი პატარა საკლასო ოთახი აქვს. თვითეულ კლასში, გარდა მეთერთმეტე კლასისა, 40-მდე ბავშვი სწავლობს. ათ ოთახში, რომელთა მთლიანი ფართობი 160 კვადრატულ მეტრს არ აღემატება, 520 ბავშვი ორ ცვლად სწავლობს.

სკოლაში 30 მასწავლებელი მუშაობს. სამასწავლებლო ოთახიც ისე პატარაა, რომ დასვენების დროს მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს დერეფანში უხდება გაჩერება.

სასწავლებელს ქიმიისა და ფიზიკის კარგი ხელსაწყოები აქვს, მაგრამ უადგილობის გამო ეს ხელსაწყოები საკლასო ოთახებში დადგმულ კარადებში აწყვია. პიონერთა ოთახი და კომკავშირის კომიტეტი ერთ ოთახშია მოთავსებული. ერთ პატარა ოთახშია აგრეთვე სამხედრო კაბინეტი და სასკოლო ბიბლიოთეკა. ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ისტორიის, რუსული ენისა და სხვა საგნობრივი კაბინეტები სკოლას არა აქვს. რადგან დილიდან საღამოს 8 საათამდე მთელი დრო აკადემიურ საათებს უნდება, სკოლაში შეუძლებელი ხდება წრეობრივი მუშაობა. პოლიტექნიკური სწავლებისათვის განკუთვნილი ოთახი დაქირავებულია.

შენობა, რომელიც დღეს სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს საშუალო სკოლის მოთხოვნებს, აგებულია რამდენიმე ათეული წლის წინათ. მას შემდეგ ხან მიმდინარე და ხან კაპიტალურ რემონტზე იმდენი თანხაა დახარჯული, რომ ამ ფულით ორი-სამი საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი შენობის აგება შეიძლებოდა.

ღების, ჭიორისა და გლოლის მოსახლეობა დაინტერესებულია, რომ ბავშვები კეთილმოწყობილ სკოლის შენობაში სწავლობდნენ. იგი საშუალებებს არ ზოგავს სკოლის შენობის აგებისათვის, მაგრამ ონის რაიონის ხელმძღვანელობა მოსახლეობის სურვილებს მხარს არ უჭერს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და რაიონის ხელმძღვანელობამ საჭირო დახმარება უნდა აღმოუჩინონ სოფლების ღების, ჭიორისა და გლოლის მცხოვრებლებს საშუალო სკოლის შენობის აგებაში.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ხელოვნების ქრონიკა

## ლ. მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს დიდი ქართველი მსახიობისა და ხელოვანის ლ. მესხიშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დადგა დიდი მსახიობის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „გაიუს გრაკხი".

ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა ლ. მესხიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საქალაქო საიუბილეო კომისიამ.

გაიმართა აგრეთვე საქალაქო საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ხ. ფხაკაძემ. ლ. მესხიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა გ. ხამხარაძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი, დამსახურებული არტისტები ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, პირველი ქართველი კინოოპერატორი ვ. ამაშუკელი.

## ახალი სპექტაკლი

სოხუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა მაყურებელს უჩვენა მორიგი ახალი სპექტაკლი — შ. სანგულიას პიესა „დიდი ცხოვრების გზაზე".

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ა. აგრბას, მხატვრული გაფორმება — ა. ვერულეიშვილს, მუსიკა — დ. ცანავას.

როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ფაჩალია, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. ზუხბა, რ. აგრბა, მ. კოვე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ს. კობახია, მ. ფაჩალია, ვ. დბარი, ი. კოკოსკერია, მ. კასლანძია და სხვ.

## ჭიათურის თეატრის გასტროლები

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი. თეატრმა მეშახტეებს უკვე უჩვენა ვ. როზოვის კომედია „ხალისიანი მეგობრები", გ. ბერძენიშვილის მიერ ინსცენირებული ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი", პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი", ი. ვაკელის „აპრაკუნე", ქ. გელეიშვილის მიერ ინსცენირებული დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", შ. დადიანისა და რ. ქორქიას ოთხმოქმედებიანი პიესა „დავით გურამიშვილი".

ჭიათურის თეატრი თავის დადგმებს მართავს შახტების მუშათა კლუბებშიც.



ახმეტა. სოფელ ქვემო ალვანის ცენტრში დადგეს ბახტრიონის ბრძოლების მონაწილის, სახალხო გმირის ზეზვა გაფრინდაულის ძეგლი. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული გმირის ძეგლი დამზადებულია ზეზვა გაფრინდაულის თანასოფლელის მოქანდაკე რ. ჯიჯიჯურიძის პროექტის მიხედვით.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საელჩოს პასუხი ამერიკელ კვაკერთა წერილზე

საზოგადოების მომსახურე ამერიკელ მეგობართა (კვაკერთა) კომიტეტის გამგეობის თავმჯდომარემ გ. კედბერიმ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სახელზე გამოგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

პატივცემულო პრემიერო ბულგანინ,

...

ერთმანეთს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რომელიმე სახელმწიფოს მხრივ მორალური ინიციატივის გამოჩენა გასაქანს მისცემდა შემოქმედებითს მორალურ ძალას, რომელიც განუზომელია თავისი ზემოქმედებით, და შეასუსტებდა დაძაბულობას, რომელიც ახლა ხელს უშლის ყოველ ნაბიჯს მშვიდობის გზაზე.

...შეწყვეტილება იკრძალოს ასეთი იარაღის გამოცდა".

საბჭოთა კავშირში ესმით თქვენი შეშფოთება იმის გამო, რომ გრძელდება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, და მიესალმებიან თქვენი კომიტეტის მიმართვას, რომელიც მოითხოვს შეწყდეს ასეთი იარაღის გამოცდა.

## გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმი

ბერლინი, 3 აგვისტო. (საქდესი). აღნის სააგენტო, იმოწმებს რა რადიოსადგურ „დოიჩერ ფრაიჰაიტსზენდერ 904"-ს, იუწყება, რომ გაიმართა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმი. პლენუმმა ყველა კომუნისტს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო ბრძოლაში, განუმარტონ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ფართო მასებს გერმანიის კომუნისტური...

...საფუძველზე დაამყარონ ურთიერთობა სოციალ-დემოკრატ ამხანაგებთან, რათა მუშათა კლასის ძალებით და ადენაუერის პოლიტიკის ყველა სხვა მოწინააღმდეგის გაერთიანებული ძალებით დაამარცხონ ადენაუერის პარტიები ქრისტიან დემოკრატთა კავშირი — ქრისტიან სოციალისტთა კავშირი ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში.

...

...გერმანიის გაერთიანებისათვის.

გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მიმართვის ძირითადი დებულებების შესაბამისად, პლენუმი მოუწოდებს კომუნისტებს მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ ნდობის ...

...ხელმძღვანელობის პოლიტიკით, კერძოდ ისეთ საკითხებში, როგორიც არის ნატოსადმი დამოკიდებულება და მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, აგრეთვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიური პოლიტიკით.

## გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება

ბერლინი, 4 აგვისტო. (საქდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა", იმოწმებს რა „დოიჩერ ფრაიჰაიტსზენდერ 904"-ის რადიოსადგურს, დღეს გამოაქვეყნა ცნობა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმის შესახებ, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გაიმართა.

ცნობაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური...

...მეზა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია თავს გრძნობს მჭიდროდ დაკავშირებულად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მის ცენტრალურ კომიტეტთან და...

# პატარა სოფლის დიდი სიცოცხლე

შირაქი საქართველოს პურის ბეღელია. მის ნაყოფიერ მიწებს იშვიათად უმტყუნებია კოლმეურნეთა შრომისათვის. ბუნების სასტიკად განრისხებისას ქამსაც კი, როცა მიწას გვალვა უგავდა, ან ნათესებს მოულოდნელად ეტყვა ანადგურებდა, შირაქს კოლმეურნეები ხელცარიელი არ დაუტოვებია.

...

— გაგვიგონია, წითელწყაროს რაიონშია, ნახვით კი არ გვინახავს, — ვუპასუხეთ ჩვენ.

— რომ არ გინახავთ, ეს კარგი არ არის, მაგრამ არც საკვირველია, აი ჩვენი გიორგიც მეზობელი მტს-ის ზონის მდივანია, აქაური კაცი, მაგრამ დღემდე არც მას უნახავს საბათლო, არ...

...

ჩვენა. დიაგრამებში გამოსახული ციფრები მკაფიოდ მეტყველებდნენ წარმა...

...

...სავით აშოლტილი სიმინდის ყანები გადაჭიმა. ყველგან თავდადებული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ეს პატარა სოფელიც ჩვენი დიადი სამშობლოს სისხლსავსე ცხოვრებით ხარობს და ცოცხლობს.

ზ. ჯამასპიშვილი.

# მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

## სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული

ახალგაზრდობისა და სტუდენტების VI მსოფლიო ფესტივალის მერვე დღე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში აღინიშნა სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულით, რომელიც მოეწყო გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, სადაც კვირას, 4 აგვისტოს მოვიდა ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. არაჩვეულებრივად ლამაზი იყო ეს დღესასწაული.

მაყურებლები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ალბანელ მომღერლებს. ბულგარეთის ახალგაზრდობის დელეგაციამ მშობლიური ქვეყნის ხელოვნების ჩვენება დაავალა ქალიშვილთა ჯგუფს, რომლებმაც ფესტივალის დელეგატებს გააცნეს საუცხოო სიმღერები. უნგრეთის მხატვრული კოლექტივები წარმოდგენილი იყვნენ ახალგაზრდობის მომღერალთა კომკავშირული გუნდით, პოლონეთისა — „შლენსკის" ანსამბლით, რუმინეთისა — მოცეკვავეებითა და სოლისტებით.

უცხოეთის ახალგაზრდობამ დღესასწაულზე ნახა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნება. ესტრადებზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის კოლექტივები და სოლისტები. აქ, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, მათ მოიტაცეს რუსული სიმღერების სილამაზე, მელოდიურობა, რუსი ხალხის წარმტაცი ცეკვები.

## ახალგაზრდა მეგობართა შეხვედრები

გუშინ გაიმართა ჩინეთის დელეგაციის შეხვედრა ბრაზილიის დელეგატებთან. შეხვედრა მიმდინარეობდა გულითადობის ვითარებაში. ბრაზილიელებმა ჩინელ დელეგატებთან გაცვალეს საჩუქრები, ნიშნები, იყო ბევრი სიმღერა და ცეკვა.

მოსკოვის ქარხანა „კომპრესორის" კლუბში ცოცხლად ჩაიარა მეგობრების — ტაჯიკეთის სსრ და ვიეტნამის ქალიშვილებისა და ჭაბუკების შეხვედრამ. გულთბილი საუბრის დროს ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იბოდატ რახიმოვამ რესპუბლიკის ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით ვიეტნამის გმირი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გადასცა ხალიჩა ფესტივალის ემბლემით. ვიეტნამის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხოინ კიონგმა მადლობა გადაუხადა მეგობრებს საჩუქრისათვის და უთხრა, რომ ვიეტნამის ქალიშვილები და ჭაბუკები არასოდეს არ დაივიწყებენ გულითად შეხვედრებს მოსკოვში.

4 აგვისტოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოეწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სახალხო პოლონეთის ახალგაზრდობის შეხვედრა.

— ძვირფასო პოლონელო მეგობრებო! — თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა კონრად ნაუმანმა, მიმართა რა სტუმრებს. — ჩვენ პირველად როდი ვხვდებით ერთმანეთს. და კვლავ და კვლავ ვამბობთ: ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობა მშვიდობით და მეგობრულად ცხოვრობდეს.

პოლონელი ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა ეჟი ტერეი.

— ჩვენ თქვენთან ერთად გვაქვს საერთო მიზანი — სოციალიზმის აშენება და მშვიდობის განმტკიცება ოდერისა და ნაისეს საზღვარზე, — ამბობს იგი. — ეს ფესტივალი საშუალებას მოგვცემს კიდევ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. და დღევანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს პოლონელი და გერმანელი ახალგაზრდობის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოს პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობას!

ამ სიტყვებს ტაშით შეხვდნენ გერმანელი და პოლონელი ქალიშვილები და ჭაბუკები.

გულითადად მიმდინარეობდა საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგატების მეგობრული შეხვედრა.

— საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდებს შორის მუდამ იყო მტკიცე მეგობრობა, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა მილოსლავ ვეიცკერმა. — ჩვენ ხშირად ვართ საფრანგეთში, პარიზელები დროდადრო გვესტუმრებიან ხოლმე ჩეხოსლოვაკიაში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ფრანგი ხალხის პროგრესულ ტრადიციებსა და კულტურას, აღტაცებული ვართ მისი მამაცობით მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მოსკოვის ფესტივალმა კიდევ უფრო დააახლოვა ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობა.

— ჩვენ ვიყავით ფესტივალზე თქვენს დედაქალაქ პრაღაში და ვნახეთ, როგორ გულითადად ხვდებოდნენ ჩეხები და სლოვაკები ჩვენს ახალგაზრდობას, — თქვა ფრანგი ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ჟან-პიერ ბურიონმა. —დაე ჩვენმა ქვეყნებმა სხვადასხვა გზით იარონ თავიანთი მიზნისაკენ. მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს საერთო კეთილშობილური მიზანი — მშვიდობისათვის ბრძოლა.

4 აგვისტოს ახალგაზრდა მასწავლებლების შეხვედრაზე განიხილავდნენ მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის, მასწავლებელთა კადრების მომზადების, მასწავლებელთა მდგომარეობის, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, აღზრდის თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობის საკითხებს.

საფრანგეთის წარმომადგენელმა რ. დიუბუამ საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციების სახელით წარმოადგინა პროექტი მოწოდებისა მსოფლიოს ყველა მასწავლებლისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„მასწავლებელს შეუძლია აღზარდოს ბავშვები თავისი ქვეყნისადმი სიყვარულის, მისი ტრადიციებისადმი ერთგულების, სხვა ხალხების კულტურისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, მშვიდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მჭიდროდ დაკავშირებულია თავის ხალხთან.

ჩვენ ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ ახალი ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ!

ვიყოთ ერთიანნი ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის!

ვიყოთ ერთიანნი მშვიდობისა და მეგობრობისათვის!

ამ მოწოდებას ახალგაზრდა მასწავლებლები, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).



მოსკოვი. მაიაკოვსკის მოედანზე ფესტივალის დღეებში.
ფოტო ვ. ხოზილევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).



ინდოეთის ეროვნული კონცერტი მეტრომშენის კულტურის სახლში. სურათზე: აზოტის მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომელი ვალია ზუიკო ინდოელ სოლისტებთან.
ფოტო ე. იასენოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ქართველი ახალგაზრდობა ფესტივალზე

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლებით და საბჭოთა ქალიშვილებითა და ჭაბუკებით ყოველდღე ივსება მოსკოვის სტადიონები, საკონცერტო დარბაზები, კლუბებისა და კულტურის სახლების აუდიტორიები. ფესტივალის მონაწილეთა უკვე რამდენი სხვადასხვა საინტერესო შეხვედრა მოეწყო. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ბევრი მოეწყობა უახლოეს დღეებში.

მოსკოვში ამ დღეებში ყველგან სადღესასწაულო განწყობილებაა. გრძელდება შეხვედრები პროფესიებისა და ინტერესების მიხედვით. თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს რკინიგზელები, ტყავეულის მრეწველობის მუშაკები, პოლიგრაფისტები, გლეხები, ფერმერები და მეიჯარეები, მეშახტეები, კინომოყვარულები, ფოტომოყვარულები და რადიომოყვარულები.

ყურადღება მიიპყრო ამერიკელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჯგუფის შეხვედრამ ჩინელ დელეგატებთან. ახალგაზრდა ამერიკელებმა, რომლებმაც მიიწვიეს ჩინელები, განაცხადეს, რომ მოხარული არიან შეხვდნენ ჩინეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი მეგობრული გრძნობით არის გამსჭვალული ჩინელი ხალხისადმი.

წარმატებით გრძელდება საერთაშორისო მხატვრული კონცერტები, რომლებმაც მრავალი მონაწილე მიიზიდეს. მოსკოვის თეატრები ამ დღეებში კვლავ უჩვენებენ სტუმრებს თავიანთ სპექტაკლებს. მოსკოვის ეკრანებზე უჩვენებენ უცხოეთის ფილმებს, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში.

სტადიონებზე და სასპორტო მოედნებზე გრძელდება სპორტული შეჯიბრებები. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობენ ბევრი ქვეყნის, მათ შორის იტალიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ბელგიის, ალბანეთის, საბჭოთა კავშირის (კერძოდ, საქართველოს) წარმომადგენლები. მოსკოვში მიმდინარეობს ჩვენება საზეიმო ეროვნული პროგრამების მთელი სერიისა, რომლებიც ბევრმა დელეგაციამ მოამზადა ფესტივალის მონაწილეებისათვის. ამ სერიის ჩვენება დაიწყო საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ გამართული კონცერტით.

გაზეთი „ფესტივალი" ამის გამო წერს: „ცეკვების ყურებით რომ ტკბებოდი, მუსიკას, სიმღერას რომ უსმენდი, ძნელი იყო ზღვარი გაგევლო პროფესიულ და თვითმოქმედ ხელოვნებას შორის. კონცერტში დიდი წარმატებით გამოვიდა „შრომითი რეზერვების" მოცეკვავეთა ანსამბლი საქართველოს სს რესპუბლიკიდან. ანსამბლის მონაწილენი პროფესიონალი მსახიობები როდი არიან".

კონკურსის პირველ ტურში მაღალი შეფასება მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა ზ. ანჯაფარიძემ და ნ. ანდღულაძემ და სხვა ცალკეულმა შემსრულებლებმა. წარმატებით გამოვიდა ჯგუფი „შვიდკაცა". მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო სტუდია „ქართული ფილმის" კინოსურათები „ჩვენი ეზო" და „ჩრდილი გზაზე".

„პრავდის" კულტურის სახლში გაიმართა მოსკოვისა და საქართველოს ახალგაზრდობის შეხვედრა ლუქსემბურგის წარმომადგენლებთან.

გახსნა რა შეხვედრა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვასაძე მიესალმა უცხოელ სტუმრებს საქართველოს ახალგაზრდებისა და მოსკოველთა სახელით. ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციისაგან გამოსულმა კ. მახარაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეებში გამოატარა აზრი მშვიდობის შესახებ. მან თქვა, რომ ძველ დროშიც ქართველი სტუმრად რომ მივიდოდა, იტყოდა: „მშვიდობა სახლსა ამას". გაისმის შეხვედრის მონაწილეთა მქუხარე ტაში. მთელი დარბაზი წარმოთქვამს: „მეგობრობა", „მეგობრობა", „მეგობრობა"!

ლუქსემბურგის დელეგაციის ხელმძღვანელმა რენე ურბანიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვში ფესტივალზე ჩამოსვლის შემდეგ მათ დიდძალი ყვავილები მიართვეს. — 2.600 კილომეტრი, რაც ჩვენი სამშობლოდან მოსკოვამდეა, — ამბობს იგი, — აღარასოდეს არ გაგვაცალკევებს. აქამდე მოსკოველ და ქართველ ახალგაზრდობას მხოლოდ წიგნებით ვიცნობდით. ახლა, მოსკოვში რომ ვიმყოფებით, ვიცით, რომ მოსკოვსა და საქართველოში კარგი მეგობრები გვყავს. მოსკოვიდან რომ წავალთ, თან წავიღებთ მეგობრობის გრძნობას და გადავცემთ მას ჩვენს პატარა ქვეყანას. თუ ყველანი ასე მოვიქცევით, ომი აღარ იქნება. ბავშვებს კი შეეძლებათ მუდამ მოღიმარნი იყვნენ და არ იცოდნენ რა არის უბედურება. ჩვენს ახალგაზრდობას ძალიან ახარებს მეგობრობა მოსკოვისა და საქართველოს ახალგაზრდობასთან.

მოსკოვის ახალგაზრდობის, კერძოდ გაზეთ „პრავდის" გამომცემლობის კოლექტივის ახალგაზრდობის სახელით ძვირფას სტუმრებს მხურვალედ მიესალმა ამხ. როდიონოვი.

შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის სახელით ლუქსემბურგელ მეგობრებს მიუძღვნეს საჩუქრები — დელეგაციის ხელმძღვანელს — ჩინებული თეთრი ნაბადი, სხვა მეგობრებს — ღვინის პატარა კასრები, ყაბალახები, თუშური ქუდები, სხვადასხვა სურები და სხვ.

ლუქსემბურგელებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს და თვითონაც ვალში არ დარჩენილან.

ხოლო როცა დაიწყო საკონცერტო განყოფილება, მოსკოვის ოქტომბრის რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეებმა სტუმრებს აჩვენეს თავიანთი ხელოვნება. გამოვიდა „პრავდის" კულტურის სახლის ქორეოგრაფიული კოლექტივი. შესრულებულ იქნა ბოშური ცეკვა, საქოსა და სიკოს სცენა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტედან".

ამის შემდეგ მოსკოველებმა საჩუქრები მიუძღვნეს თავიანთ ახალგაზრდა მეგობრებს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო", რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შეხვედრის დასასრულს ნ. ვასაძემ საზღვარგარეთელ სტუმრებს უსურვა მეტი და კიდევ უკეთესი შეხვედრები მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, უსურვა ფესტივალზე ბედნიერად ყოფნა და სამშობლოში ბედნიერად დაბრუნება.

მეგობართა ეს შეხვედრა დამთავრდა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის ერთობლივი სიმღერით, მხიარული მასობრივი ცეკვებით. მანქანებს, რომლებშიც სტუმრები სხდნენ, მიაცილებენ ტაშით და მეგობრულად ულოცავენ გზას.

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის შენობაში განსაკუთრებით გულთბილად ჩაიარა საქართველოს სს რესპუბლიკიდან ფესტივალის მონაწილეთა და მოსკოველთა შეხვედრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ტაილანდისა და ლაოსის დელეგატებთან. შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები აღნიშნავდნენ, რომ ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ იმ გულთბილ შეხვედრას, რომელიც მათ აღმოუჩინეს ფესტივალზე მოსკოვში.

საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა სტუმრებს მიართვეს საჩუქრები. სტუმრებმა თავის მხრივ ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს საჩუქრად მიართვეს გრამოფონის ფირფიტები, რომლებზეც ჩაწერილია ტაილანდის ხალხური სიმღერები.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში პარტერში შემოდის ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფი. ნაბადმოსხმული ქართველები შემოდიან გაბმული სუფრული სიმღერით. საერთო ტაშის გრიალში ისინი შეხვედრის მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელებს მიართმევენ და მოახურავენ ნაბდებს.

დარბაზში სხვადასხვა ენაზე გაისმის: „მეგობრობა", „მეგობრობა". შეხვედრის ბევრი მონაწილე მთელი ხმით გაიძახის ქართულ ენაზე: „გაუ-მარ-ჯოს!"

და აი ერთსულოვანი აღტაცებით მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ორკესტრის ხმებში გაისმის დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. ტაშის კვრით ახალგაზრდობა მღერის თავის საყვარელ ჰიმნს, თუმცა სხვადასხვა ენაზე, მაგრამ შეწყობილად. და როდესაც ასობით ადამიანი მეგობრულად ხელიხელჩაკიდებულია, სცენაზე გამოდის „შრომითი რეზერვების" ანსამბლი.

მცირე შესვენების შემდეგ გაიმართა მეგობრობის დიდი კონცერტი. იგი გახსნა ტრიკოტაჟ-ხელთათმანის ფაბრიკა „კრასნი ვოსტოკის" რუსულმა ხალხურმა გუნდმა. „შრომითი რეზერვების" ქართული ცეკვის ანსამბლმა შეასრულა მასობრივი ხალხური ცეკვა „ფერხული". შემდეგ გამოვიდნენ რუსული კვარტეტი, მოცეკვავე ბავშვთა გუნდი, რუსული ცეკვის შემსრულებლები. ამის შემდეგ საქართველოს „შრომითი რეზერვების" ახალგაზრდობამ შეასრულა მასობრივი ცეკვა „შეჯიბრი", რომელიც მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

შემდეგ გაიმართა ლაოსისა და ტაილანდის მხატვრული ჯგუფის ერთობლივი გამოსვლა, რასაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული ჯგუფის გამოსვლამ. დარბაზში მყოფმა საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა გერმანელ სპორტსმენებს ქართველი სპორტსმენების სახელით საჩუქრები მიართვეს. საპასუხოდ გერმანელებმა ქართველებს საჩუქრად უძღვნეს თავიანთი სპორტული დელეგაციის ვიმპელები.

შემდეგ გამოვიდა დასავლეთ გერმანიის მთიანი ოლქის ანსამბლი, რომელმაც შეასრულა „სიმღერა სამშობლოზე" და ხალხური ცეკვა.

კონცერტის დასასრულს გამოვიდა ორკესტრი „რერო", რომელსაც, როგორც წინა დღეებში მოსკოვში, მუდამ დიდი წარმატება აქვს.

**ს. რიჟინაშვილი,**
„კომუნისტის" კორესპონდენტი.

# კომუნიკე

## საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მერვე სესიის შესახებ

ამ დღეებში ბუდაპეშტში გაიმართა სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომისიის მერვე სესია.

კომისიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მეშვიდე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში ქვეყნებს შორის მიღწევების გაცვლა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში წარმატებით ხორციელდებოდა.

უნგრული სპეციალისტები გაეცნენ საბჭოთა კავშირის ფერად მეტალურგიას, კერძოდ ბოქსიტებისა და კომპლექსური ფერადი ლითონების მოპოვებას, თიხამიწის წარმოებასა და ალუმინის გლინვის ტექნოლოგიას.

საბჭოთა კავშირში რადიოტექნიკის დარგში შეძენილი გამოცდილების შედეგად შემცირდა ტრანზისტორთა წარმოების ათვისების დრო, გაუმჯობესდა სატელევიზიო მილაკების ხარისხი.

ამ საკითხების გარდა, უნგრელმა სპეციალისტებმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს შავ მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, საღებავების წარმოებაში, ნავთობის ამოღებასა და გადამუშავებაში, ქვების მრეწველობასა და მეცხოველეობაში.

საბჭოთა სპეციალისტები უნგრეთში გაეცნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს, მათ შორის საკერავი მანქანების წარმოების ავტომატური ხაზების კონსტრუირების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის გამოცდილებას, საშინაო ვაჭრობის ორგანიზაციასა და ტექნიკას, აგრეთვე მებოსტნეობას, მევენახეობასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანის სამუშაოებს.

მერვე სესია წრფელი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. კომისიის საბჭოთა ნაწილმა დაათვალიერა რამდენიმე შახტი, მანქანათმშენებელი და რადიოტექნიკური ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები და სხვა საწარმოები და ყველგან მუშები და სპეციალისტები მეგობრულად ხვდებოდნენ მას.

უნგრელი მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის კომისიის საბჭოთა ნაწილის წევრებმა წაიკითხეს ლექციები ქვანახშირის, ნავთობისა და საფეიქრო მრეწველობის განვითარების საკითხებზე, რასაც აზრთა გაცხოველებული გაზიარება მოჰყვა.

კომისიის სესიის ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები 1957 წლის მეორე ნახევარში მიიღებენ უნგრელ მეცნიერებსა და სპეციალისტებს და გააცნობენ მათ საბჭოთა სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებსა და საწარმოო გამოცდილებას კავშირგაბმულობის საშუალებათა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ტექნიკის, სამაცივრო მოწყობილობის, მანქანათმშენებლობის ინსტრუმენტის წარმოების, ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების, მინერალურ სასუქთა, სინთეზური ლაქების, ავტომობილის შინების, ... ქვანახშირის ამოღებისა და გვირაბების გამაგრების მექანიზაციის დარგში, აგრეთვე კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და სხვ.

ამავე დროს უნგრეთის ორგანიზაციები და სამეცნიერო დაწესებულებები საშუალებას მისცემენ საბჭოთა სპეციალისტებს გაეცნონ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს ფოლადის მომინანქრებული ცისტერნების, ქიმიური აპარატურის, ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებაში, აგრეთვე გემების შეკეთების, საფეიქრო მრეწველობის, საშენ მასალათა წარმოების დარგში, გაეცნონ რეზინის ძაფისა და მთელი რიგი სხვა ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიას.

გარდა ამისა, საბჭოთა ორგანიზაციები უნგრეთის მხარის თხოვნით გაგზავნიან თავიანთ სპეციალისტებს უნგრეთის ორგანიზაციებისათვის კონსულტაციის გასაწევად სოფლის მეურნეობაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების საკითხებზე და ქიმიურ მრეწველობასა და ფერად მეტალურგიაში ტექნიკური დახმარების გასაწევად.

კომისიის მერვე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ორივე მხარე ერთმანეთს გაუზიარებს გამოცდილებას და გაცვლის ტექნიკურ დოკუმენტაციას კიბერნეტიკის, ელექტროტექნიკის, მეტალურგიის დარგში, მაგალითად, საბჭოთა ორგანიზაციები 1957 წელს უნგრეთის მხარეს გადასცემენ ელექტრონული საანგარიშო მანქანის, ზოგიერთი საშენი მასალის დასამზადებელი მოწყობილობის, ტურბინის მაღალი წნევის გამხურებლის წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას, ალუმინის სულფატის წარმოების, თიხამიწის კალცინაციის ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას და სხვა დოკუმენტაციას ნავთობმომპოვებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობის საკითხებზე.

უნგრეთის ორგანიზაციები საბჭოთა მხარეს გადასცემენ მეტანის ჟანგვითი პიროლიზისა და გაზების გამყოფი დანადგარის საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, ელექტროტექნიკური მოწყობილობის ნახაზებს, სამთამადნო საქმისა და სოფლის მეურნეობის საკითხების ტექნიკურ დოკუმენტაციას.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მთავრობათა 1957 წლის 28 მარტის დეკლარაციის შესაბამისად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომი გაფართოების შესახებ, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის საწარმოებს შორის კონტაქტების გაძლიერების გზების შესახებ და თანამშრომლობის სხვა საკითხებზე.

სესიის ოქმს ხელი მოაწერეს: უნგრეთის მხრივ — კომისიის უნგრეთის ნაწილის თავმჯდომარემ ამხ. პეტერ ვაიიმ; საბჭოთა კავშირის მხრივ — კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარემ ამხ. ი. გ. კურაკოვმა.

## პრეზიდენტი ხო ში მინი ბელგრადში ჩავიდა

ბელგრადი, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტიდან ბელგრადში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

ზემუნის აეროდრომზე ხო ში მინს შეხვდნენ: იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშტინის თავმჯდომარე პ. სტამბოლიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ე. კარდელი, ა. რანკოვიჩი, ს. ვუკმანოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები, სახელმწიფო მდივნები და სხვა ოფიციალური პირები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზემუნის აეროდრომზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც გამოთქვა რწმენა, რომ მის შეხვედრას პრეზიდენტ ტიტოსთან მოჰყვება იუგოსლავიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

## ოლენჰაუერის გამოსვლა

ბონი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც დპას სააგენტო იუწყება, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა, რომელიც გუშინ გამოვიდა ხალხმრავალ მიტინგზე ბად-ბერნეკში, წამოაყენა მოთხოვნა, რომ ადენაუერის „ძალის პოლიტიკა" შეიცვალოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების პოლიტიკით. ძალის პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, სავსებით ჩაიფუშა.

„საჭიროა, — თქვა შემდეგ ოლენჰაუერმა, — ბოლო მოეღოს გიჟურ შეიარაღებას. ფედერაციულ რესპუბლიკას ისევე არ ესაჭიროება ატომური იარაღი, როგორც გერმანელებს აღმოსავლეთში (ე. ი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — რედ.). მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომური შეიარაღება მხოლოდ ზრდის ახალი ომის საფრთხეს, „რომლის პირველი მსხვერპლი გერმანელები იქნებიან".

მკვეთრად გააკრიტიკა რა კანცლერ ადენაუერის უკანასკნელი წინასაარჩევნო გამოსვლები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა: „ადამიანს, რომელსაც ასეთი პასუხსაგები პოსტი უკავია და რომელიც ასე უპასუხისმგებლოდ გამოდის, არაფერი აღარა აქვს გასაკეთებელი როგორც მთავრობის მეთაურს".

## ომანის იმამის მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი

კაირო, 5 აგვისტო. (საკდესი). ომანის იმამის წარმომადგენელი კაიროში მუჰამედ ელ-ჰარსი დღეს ეწვია სსრ კავშირის საელჩოს ეგვიპტეში და ომანის იმამის სახელით გადასცა მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი.

მიმართვაში ნათქვამია:

„აღვნიშნავთ რა ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადებებს იმ დაპირებათა შესახებ, რომ სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს მასკატის სულთანს ომანის იმამის წინააღმდეგ და რადგან ეს დაპირება განხორციელდა, ჩვენ ომანის იმამისა და მისი თავისუფალი ხალხის სახელით სამართლიანობისათვის, ჰუმანურობისა და საერთაშორისო ვალდებულებებისათვის გთხოვთ შეაჩეროთ ბრიტანეთის მთავრობა და არ დაუშვათ მისი ჩარევა ჩვენსა და სულთანს შორის, რათა შეწყდეს უდანაშაულო მოხუცების, ქალებისა და ბავშვების სისხლის ღვრა.

ჩვენ აგრესორები არა ვართ. აგრესორია სულთანი, რომელმაც ინგლისელთა დახმარებით და წაქეზებით დაარღვია ხელშეკრულება, მოახდინა ომანის ოკუპაცია და თავს დაესხა სრულიად გაუფრთხილებლად.. მას შემდეგ ... თი სამხედრო ინტერვენცია არ წყდება, რაც წარმოადგენს ჩვენსა და სულთანს შორის ... დებული ხელშეკრულების დარღვევას. გთხოვთ ჩაერიოთ, რათა შეწყდეს ცეცხლი და შესაძლებელი გახდეს მოლაპარაკება ჩვენსა და აგრესორებს შორის მშვიდობის დამყარების მიზნით და რათა პატივი ეცეს საზღვრებს ჩვენსა და სულთანს შორის, რათა პატივი ეცეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და აღდგენილ იქნას ჩვენი უფლებები".

მუჰამედ ელ-ჰარსი ეწვია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და გადასცა ამგვარივე მიმართვა შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გადასაცემად.

## მდგომარეობა ომანში

ბეირუთი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლიბანის პრესა იუწყება, ინგლისელმა კოლონიზატორებმა ვერ მოახერხეს ბარბაროსული დაბომბვით გაეტეხათ ომანის აჯანყებულ ტომთა მისწრაფება ბრძოლისადმი. იუწყებიან, რომ ინგლისის სამხედრო სარდლობა ამზადებს ახალ საჰაერო ოპერაციებს ომანში. ამ მიზნით, წერენ გაზეთები, გამოყენებულ იქნება ინგლისის საჰაერო ბაზა ხაბანია (ერაყი).

როგორც გაზეთი „ას-სიასა" წერს, იმის გამო, რომ ინგლისელებმა ვერ მოახერხეს ომანში აჯანყების ჩახშობა ბარბაროსული დაბომბვით, ინგლისის სამხედრო სარდლობამ იქ გაგზავნა სამი ქვეითი ქვეგანაყოფი.

გაზეთი „აშ-შარკი" იუწყება, რომ ბაჰრეინიდან მიღებული ცნობებით, ომანში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები აჯანყებულ ტომებსა და მასკატის სულთნის ჯარებს შორის, რომელსაც მხარს უჭერენ ინგლისელები.

გაზეთის სიტყვით, აჯანყებულმა ტომებმა გააფართოვეს მოქმედების ზონა და დაიკავეს, კერძოდ, ახალი რაიონი დედაქალაქ ნაზვას სამხრეთით.

## ამერიკის თვითმფრინავები კვლავ არღვევენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს

ფხენიანი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, 3 აგვისტოს გაიმართა დაზავების სამხედრო კომისიის მდივნების სხდომა, რომელზეც კორეა-ჩინეთის მხარის მდივანმა ამერიკის მხარის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები განაგრძობენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევას. კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ამერიკის მხარემ გულმოდგინედ გამოიძიოს დარღვევის ეს შემთხვევები და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი კორეაში დაზავების შეთანხმების დებულებებზე დაყრდნობით.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**

### დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, იხანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კომუნარების ბაღი — ჩემი საწყალი საყვარელი დედა, ამირანი (საზამთრო) — დონ-კიხოტი, ფილარმონიის ბაღი — პანი დულსკაიას მორალი, იხანი (საზაფხულო) — გემის მეთაური, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ღრუბლების გედისებრი გუნდის იქით, კომკავშირელი — ამბავი პირველი სიყვარულისა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, საქართველო (წითელი დარბაზი), ყაზბეგი — ციცაბო საფეხურები, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ტახირი და ზუხრა, კოლხიდა (საზამთრო) — მას უყვარხართ, კოლხიდა (საზაფხულო) — სასტუმროს დიასახლისი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე (საზამთრო) — მე შევხვდი ქალიშვილს, ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — კვალი რჩება, დიდუბე (საზაფხულო)—სასტუმროს შიკრიკი, კიროვის სახელობის პარკი — ინჟინერ კოჩინის შეცდომა, ვაკის პარკი — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — ისინი ხუთნი იყვნენ, კოლმეურნე — მე ვიტყვი სიმართლეს.


მოქალაქე სურენ ოგანეზის-ძე დავითხანიანმა, მცხოვრებმა ყარაიის ქ. № 31, აღძრა საქმე ეტაპის ქ. № 18 მცხოვრებ მოქალაქე სუსანა ავაქის ასულ დავითხანიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე გიორგი ვასილის-ძე ნასყიდაშვილმა, მცხოვრებმა აზიზბეგოვის ქ. № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე მერი ზაქარიას ასულ ნასყიდაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ელენე, შვილები თინა, ლოლა, სიძეები რ. გერმანაშვილი, ს. დევდარიანი შვილებით იუწყებიან **ევსევი ნიკოლოზის-ძე გურგენიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII სხლითში (ორჯონიკიძის რ.).

შვილი ცაცა, დები ევა, ნინო, ძმები ალექსი, გიორგი ოჯახებით იუწყებიან **ანა აბრამის ასულ გიუნაშვილი-ნუკრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII, 5 ს. საგარეჯოში.

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები იუწყებიან **მარინე გელას ასულ ახათიანის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **ფიდოსი სიმონის ასულ გეგეშიძის** გარდაცვალებას.

დები ნინო, მანანა, თებრო, სიძეები ლ. მაჭავარიანი, ნ. მჭედლიშვილი, რძლები ეთერ, ლიანა ოჯახებით იუწყებიან **ივლიტა გიორგის ასულ გოჯიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII დ. თიანეთში.

თბილისის ლენინის რაიონის მე-2 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ვანო გიორგის-ძე კოკაიას** გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ, შვილები გრიშა, ილია, სიძე ვ. ჯანელიძე, რძლები ქეთო, ეთერ შვილებით იუწყებიან **აგრაფინა მამუკას ასულ დადუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 6 ს. 15 წ. მაჩაბლის ქ. № 5.

მეუღლე მარიამ, შვილები ელენე, მარგო, კატო, რუიზანი, სიძეები ვ. ნუცუბიძე, ა. ურტიაშვილი, დ. ნარსია ოჯახებით იუწყებიან **გოლა სოლომონის-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII, 5 ს. მცხეთაში. გამოსვენება ბინიდან, არაგვის ქ. № 16.

შვილები შოთა, ნიკოლოზ, რძლები ამალია, ლილი, და ანეტა კაჭახიძე, ძმები გიორგი, ვასო ოჯახებით იუწყებიან **ლიუდი ივანეს ასულ ჭანიშვილი-ერქომაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ლიბკნეხტის ქ. № 20.


უე 02290
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.